3 გოლი “ფახთაქორთან”

ტაშკენტი. “ფახთაქორის” სტადიონი. 5 აგვისტო.

“ფახთაქორი” (ტაშკენტი) – “დინამო” (თბილისი) 0:3 (0:1).

“ფახთაქორი”: იანოვსკი, კადეიკინი, ნარტაჯიევი, ნიკიფორენკო, დენისოვი, პაკი, ივანოვი, ანტონოვი (კუხლევსკი), შაიმარდანოვი, წერეთელი (ნოვიკოვი), ამრიევი.

“დინამო”: გაბელია, სულაქველიძე, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, ჭილაია, მინაშვილი, ჯოხაძე (კოსტავა), ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი: მ. სტუპარი (ივანო–ფრანკოვსკი).

დუბლიორები – 2:1. თბილისელთაგან ბურთი გაიტანა ჟვანიამ.

ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული ერთი თვის შესვენების შემდეგ თბილისის “დინამოს” ფეხბურთელები კვლავ ჩაებნენ საკავშირო ჩემპიონატში. მათი მეტოქე პირველი წრის დასკვნით მატჩში იყო ტაშკენტის “ფახთაქორი”.

თამაშს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ჩემპიონატის აქტივში ქულების მომატების თვალსაზრისით, არამედ იმიტომაც, რომ თბილისის დინამოელებს სულ რამდენიმე დღეში საკავშირო თასის ფინალური მატჩი აქვთ სათამაშო და მისთვის სრულ საბრძოლო მზადყოფნას საჭიროებენ.

დინამოელებმა ორივე ეს ამოცანა საუკეთესოდ შეასრულეს და ერთობ დამაჯერებლად ჩაატარეს მატჩი. მათი საერთო უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა დასაწყისიდანვე: ანგარიშის გახსნის ხელსაყრელი შესაძლებლობა მიეცათ ჯოხაძეს, შენგელიას, შემდეგ კი, 27–ე წუთზე, მინაშვილმა შორეული რეიდი შეასრულა და ზუსტად გაგზავნა ბურთი მასპინძელთა კარში – 1:0.

შესვენების შემდეგ ტაშკენტელებმა სცადეს გარდატეხის შეტანა თამაშში, რამდენიმე შეტევაც განხორციელდა, მაგრამ სტუმრების დაცვა მათთვის გაუვალი აღმოჩნდა. სამაგიეროდ, 61–ე წუთზე თბილისელებმა კარგად გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია, დარასელიამ ზუსტად გადააწოდა ბურთი შენგელიას და ამ უკანასკნელმა მეორედ აიძულა “ფახთაქორი” ცენტრიდან დაეწყო თამაში.

დინამოელები არ დაკმაყოფილდნენ მიღწეულით. 67–ე წუთზე ისინი კვლავ შეტევაზე იყვნენ. ბურთი მიიღო ყიფიანმა, რომლის ძლიერი დარტყმის შემდეგ ჩვენმა გუნდმა სტუმრად დიდი ანგარიშით გამარჯვება ჩაიწერა თავის აქტივში.

“ლელო”, 6 აგვისტო, 1980 წ.